ფიზიკურ პირთა ქონების და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის პირობები SPRO/R-001/22-1

- -

სარჩევი

1. **დაზღვევის საგანი** 2
2. **ტერმინთა განმარტება:** 2
3. **ქონების დაზღვევა** 4
3.1. დაზღვევის საგნები 4
3.2. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე
წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა 5
3.3. სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა 5
3.4. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა 6
3.5. თქვენი ვალდებულებები 7
4. **ზოგადი პირობები** 8
4.1. გამონაკლისები 8
4.2. მხარეთა უფლება-მოვალეობები ყველა დაფარვისვის: 10
4.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა 11
4.4. სადაზღვევო პოლისი/დაზღვევის მოქმედების ვადა 12
4.5. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის პირობები 12
4.6. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება 12
4.7. დაზღვევის პირობების შეცვლა 13
4.8. დაზღვევა მესამე პირთა სასარგებლოდ 13
4.9. რეგრესის წესი 13
4.10. ფორს-მაჟორი 13
4.11. პოლისის მოქმედების შეწყვეტა 14
4.12. დავების განხილვა 14
4.13. ინფორმაციის მიწოდება 14
4.14. კონფიდენციალურობა 14

წინამდებარე პირობები ძალაშია ჩვენ მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისთან ერთად. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. პოლისზე ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით წინამდებარე პირობებს და ეთანხმებით მათ.

1. დაზღვევის საგანი

1.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის საგანია:

1.1.1. ქონება - დამზღვევის საკუთრებაში/ კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევა მზღვეველის მიერ, წინამდებარე პირობების შესაბამისად, შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან: ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, თვითმფრინავის ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა, წყალსაკანალიზაციო სისტემის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა, მეზობლის ქონებიდან წყლის უეცარი და მოულოდნელი ჩამოსვლა, ქურდობა შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;
დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა - გარდა წინამდებარე პირობებში მითითებული გამონაკლისებისა;

1.1.2. იმისათვის, რომ დაიდოს დაზღვევის ხელშეკრულება, აუცილებელია წარმოგვიდგინოთ, თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ზუსტად მიგვითითოთ დასაზღვევი ქონების მისამართი და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. ამ დოკუმენტების საფუძველზე მომზადდება პოლისი და გადმოგეცემათ თქვენ.

1.1.3. წინამდებარე პირობების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი დაზღვევის ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისი. აღნიშნულ პოლისზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე პირობები. გთხოვთ გაითვალისწინოთ! თუ სადაზღვევო შემთხვევისას თქვენ ვერ უზრუნველყოფთ დაზღვევის საგნის მიმართ სადაზღვევო ინტერესის დადასტურებას ჩვენ უარს განვაცხადებთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

2. ტერმინთა განმარტება:

- **დამზღვევი** – წარმოადგენს პირს, რომელთანაც უშუალოდ ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის გადახდა;
- **მოსარგებლე** - დამზღვევის მიერ დასახელებული და პოლისში მითითებული პირი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება,
- **დაზღვევის ხელშეკრულება** – დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს დამზღვევსა და მზღვეველს შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და რომელიც შედგება სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე პირობებისგან;
- **სადაზღვევო პოლისი (პოლისი/სერტიფიკატი/თავისი დანართებით)** - მზღვეველის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად, ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და გადაეცემა დამზღვევს. ამასთან, თუ პოლისში დაფიქსირებული მონაცემები და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დებულებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, უპირატესობა ენიჭება პოლისს;
- **სადაზღვევო პერიოდი** – სადაზღვევო პოლისში მითითებული დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დაზღვევა და რომლის განმავლობაშიც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, დაზღვევა ძალაში შედის პოლისით განსაზღვრული პირველი დღის 24 საათიდან და ძალაშია პოლისით განსაზღვრული უკანასკნელი დღის 24 საათამდე, თუ თავად სადაზღვევო პოლისთ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- **სადაზღვევო პრემია (პრემია)** - თანხა, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაიხადოს დაზღვევის შესაძენად პოლისის გადმოცემისთანავე ერთჯერადად, ან პოლისში მითითებული განსაზღვრული პერიოდულობით;
- **სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი** – მხარეთა მიერ სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჩვენ მიერ თქვენზე/მოსარგებლეზე მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჯამურად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს.
- **სადაზღვევო შემთხვევა** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო რისკით გამოწვეული მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზღვეული ქონების დაკარგვა, დაზიანება ან განადგურება,

რომლის გამოც წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება აანაზღაუროს ზარალი, წინამდებარე პირობების მიხედვით;

- **სადაზღვევო რისკი** – რისკი, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.
- **მომატებული რისკი** - დამზღვევის მიერ საგანთან/ობიექტთან მიმართებაში ჩვეულებრივი სიფრთხილის ზომების მიუღებლობა/გაუთვალისწინებლობა;
- **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გაიცემა მზღვეველის მიერ დამზღვევის / მოსარგებლის სახელზე ამ პირობებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
- **ფრანშიზა** – (არაანაზღაურებადი მინიმუმი) – თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელი ზარალის თანხის ოდენობას;
- **ცვეთა** - დროთა განმავლობაში დაზღვეული ქონების ბუნებრივი გაუფასურება;
- **დაზღვევის ტერიტორია** - ქონება ჩაითვლება დაზღვეულად მხოლოდ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია პოლისში, როგორც დაზღვევის ობიექტის მისამართი.
- **დაზღვეული ქონება** - ქონება, რომელიც მითითებულია პოლისში და მდებარეობს პოლისის გრაფაში "დაზღვეული ქონების მისამართი" მითითებულ მისამართზე.
- **სადაზღვევო ღირებულება** – ქონების რეალური ღირებულება, რომელიც გამოითვლება წინამდებარე პირობების მიხედვით და რომელიც გამოიყენება სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდის დასადგენად.
- **ოჯახის წევრი** – მეუღლე, შვილ(ებ)ი, ნათესავი ან სხვა ფიზიკური პირი (მდგმურის გარდა), ვინც დაზღვევით დაფარული სახლის/ბინის მუდმივი მაცხოვრებელია. ოჯახის წევრად არ მოიაზრება პირი, რომელიც ფინანსური ანაზღაურების ან სხვა ინტერესის სანაცვლოდ ცხოვრობს დაზღვევით დაფარულ სახლში/ბინაში.
- **შიდა მოპირკეთება** – ყველა სახის სალესი და სამღებრო, ასევე ძერწვითი სამუშაოები; ასევე კედლების მოპირკეთება ნებისმიერი სახის ხის მასალით, პლასტიკატით ან მსგავსი მასალით, შპალერი, იატაკისა და ჭერის საფარი, ფანჯრები და კარები, შიდა ტიხრები, შიდა დეკორატიული ელემენტები და შიდა კიბეები.(გარდა მონოლითურად დამონტაჟებული კიბეებისა)
- **შიდა საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობა** – სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები, წყლის ბოილერები, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა, კანალიზაციის სისტემა, ელექტრონული მრიცხველები, სატელევიზიო და სატელეფონო კაბელები.
- **ავეჯი** – ნებისმიერი ავეჯი, ჩაშენებული ავეჯის ჩათვლით,
- **საყოფაცხოვრებო ტექნიკა** – საყოფაცხოვრებო მოხმარების ტექნიკა, როგორიცაა: მაცივარი, გაზის და ელექტროქურა, მტვერსასრუტი, უთო, ტელევიზორი, რადიომიმღები, მაგნიტოფონი, მუსიკალური ცენტრი, ფენი, მიკროტალღური ღუმელი, სარეცხი და ჭურჭლის სარეცხი მანქანა, კონდიციონერი, სტაციონალური კომნიუტერი, ელექტროჩაიდანი, გამწოვი, ტოსტერი,სამზარეულოს კომბაინი, ელექტროხორცსაკეპი, გრილი, წვენსაწური, ყავის ელექტროსაფქვავი და ელექტროსახარში, ბლენდერები, მიქსერი, იატაკის გასაპრიალებელი და საშინაო პირობებში სტაციონალურად გამოსაყენებელი სხვა საყოფაცხოვრებო აპატარტურა.
- **ხანძარი** – წინამდებარე დაზღვევის მიზნებისთვის, ხანძარში იგულისხმება დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლით, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისთვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ.
- **მეხის დაცემა** – ბუნებრივი გიგანტური ელექტრონული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი
- **აფეთქება** – სისტემაში გაზის წნევის მოულოდნელი მომატების შედეგად აფეთქება ან აფეთქება, გამოწვეული საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობების სისტემიდან აირის გაჟონვით.
- **წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა** - წყლის მილების, მილსადენის, წყლის საცობების, წყლის აგრეგატებისა და ცეცხლჩამქრობი სპეციალური ან სადრენაჟე სისტემების მწყობრიდან გამოსვლით და გაჟონვით გამოწვეული ზარალი,;
- **ქურდობა შეღწევით** – იგულისმება დაზღვეული ქონების ფარული დაუფლება ან ამის მცდელობა მართლსაწინააღმდეგო შეღწევის გზით, გარდა იმ პირის მიერ ჩადენილი ქურდობისა, რომელიც დაზღვევის ტერიტორიაზე თქვენი ან თქვენი ოჯახის ნებისმიერი წევრის ან თქვენთან მცხოვრები პირის ნებართვით/ხელშეწყობით იმყოფებოდა ან თქვენი ნებართვის შესაბამისად დროებით ფლობდა თქვენს ქონებას.ამასთან, წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევით არ იფარება ქურდობის ისეთი შემთხვევები (მიუხედავად იმისა, აღძრულია, თუ - არა სისხლის სამართლის საქმე ქურდობის მუხლით), თუ შესაბამისი და სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება დაზღვეულ ობიექტზე ბოროტმოქმედი(ებ)-ის შეღწევის ან გამოღწევის ფაქტი და ადგილი აქვს, უბრალოდ დაზღვეული ქონების გაუჩინარებას

- **ძარცვა, ყაჩაღობა** – დანაშაულებრივი ქმდებები, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გარდა იმ პირის მიერ ჩადენილი ძარცვა/ყაჩაღობისა რომელიც დაზღვევის ტერიტორიაზე თქვენი ან თქვენი ოჯახის ნებისმიერი წევრის ან თქვენთან მცხოვრები პირის ნებართვით/ხელშეწყობით იმყოფებოდა ან თქვენი ნებართვის შესაბამისად დროებით ფლობდა თქვენს ქონებას.
- **ვანდალიზმი** – ამ დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმად მოიაზრება დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება იმ პირის მიერ, რომელიც დაზღვეულ ობიექტზე მოხვდა თქვენი ნებართვის/თანხმობის გარეშე.
- **მეზობლის ქონებიდან წყლის უეცარი და მოულოდნელი ჩამოსვლა** – წყლის უეცარი და მოულოდნელი ჩამოსვლა ზედა სართულზე მცხოვრები პირებისაგან.
- **რეგრესული უფლების განხორციელებაში ხელშეწყობა** – თქვენ მიერ ჩვენთვის თქვენი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების გადმოცემა და ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის გაფორმებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა.
- **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
- **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
- **ჩვენ, ჩვენი** – მზღვეველი/ ს.ს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";
- **თქვენ, თქვენი** – დამზღვევი, დაზღვეული.

წინამდებარე მე-2 მუხლში მითითეული ტერმინების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და წინამდებარე პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ტერმინების ცალკე განმარტებასაც, რა შემთხვევაშიც უპირატესობა უფრო კონკრეტულად და სრულად მოცემულ განმარტებას ენიჭება;

ამასთან, წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს

3. ქონების დაზღვევის პირობები

3.1. დაზღვევის საგნები

3.1.1. დაზღვევის საგანს წარმოადგენს პოლისში ასახული და დანართში (ასეთის არსებობისას) გაშიფრული დამზღვევის ინდივიდუალურ საკუთრებაში/ კანონიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების შიდა მოპირკეთება და შიდა საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობი, ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა პოლისში მითითებული სადაზღვევო რისკებისგან;

ამასთან, დაზღვევის საგანი არ შეიძლება იყოს ანუ დაზღვევას არ ექვემდებარება და დაზღვევით არ იფარება

- შენობა/ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები, გარეთა მხარეს დამონტაჟებული საგნები (ანძები, ანტენები, მავთულები); გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები და, ასევე, გარე საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობები (სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები, წყლის ბოილერები, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა, კანალიზაციის სისტემა, ელექტრონული მრიცხველები, სატელევიზიო და სატელეფონო კაბელები);
- მობილური ელექტროტექნიკა – ნოუთბუქი, პალმტოპი, ფოტოკამერა, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, მაგნიტოფონი, აიფოდი და სხვა ელექტროტექნიკა განკუთვნილი გამოყენებისთვის მგზავრობის დროს.
- ცხოველები, ფრინველები და მწერები; მცენარეები, ნარგავები და მარცვლოვანი კულტურები;
- კვების პროდუქტები;
- ფეთქებადი ნივთები და ნივთიერებები; იარაღი, საბრძოლო მასალები, სარეწი იარაღები და მოწყობილობები;

- მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებები;
- ინფორმაციის მატარებლები, კომპიუტერსა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და ა.შ.);
- ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნახატები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და/ან ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაცია, ბულალტრული და საქმიანი წიგნები და/ან ჩანაწერები, მოდელები, მაკეტები, ნიმუშები და ფორმები;
- ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნაკეთობები; ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი და სანაკეთო ქვები; ძვირფასი ქვები დამუშავებისა და მოჭედვის გარეშე; ძვირფასი და იშვიათი ლითონების მავთულის, ზოდის, ქვიშის ან თვითნაბადი სახით; ბეწვეული, სურათები, სკულპტურები და ხელოვნების სხვა ნიმუშები, მარკები, მონეტები, ფულადი ნიშნები, ბონები და სხვა სახის კოლექციები, ანტიკვარიატი;ნაღდი ფული უცხოურ თუ ეროვნულ ვალუტაში, ჩეკები, ბონდები, შემნახველი ვაუჩერები და ობლიგაციები, საფოსტო მარკები, საფოსტო-შემნახველი მარკები, საფოსტო და ფულადი გზავნილები, სამოგზაურობილეთები, კვების ვაუჩერები, სიმ ბარათები, მობილური ტელეფონის ბარათები, სასაჩუქრე ვაუჩერები, აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები და საბანკო ბარათები;
- სხვა ნებისმიერი ქონება რაც არ წარმოადგენს დაზღვევის საგანს ამ პირობების შესაბამისად

დაზღვევა ასევე არ გავრცელდება იმ ნივთზე,რომელზეც :

- სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ დამზღვევის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ნივთის მართლზომიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.2. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა

3.2.1. ჩვენ ავანაზღაურებთ თქვენზე დაკისრებულ მატერიალურ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაზღვეული ქონების არასათანადო ან დაუდევარი განკარგვის შედეგად წარმოიქმნა ხანძარი, აფეთქება ან დატბორვა და რომელმაც, თავის მხრივ, ზარალი მიაყენა მესამე პირის (პირთა) ქონებას, გარდა პასუხისმგებლობისა, რომელიც:
- წარმოქმნილია იმ ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომელიც თქვენ მიერ იჯარით არის აღებული ან იმყოფება თქვენი კონტროლის ქვეშ ან თქვენი ნათესავების მფლობელობაში.
- აღემატება კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- დაკისრებულია რაიმე ხელშეკრულების შესაბამისად ან საჯარიმო სანქციების სახით.

ჩვენ ვთავისუფლდებით აღებული ვალდებულებებისგან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ განგებ გამოიწვიეთ მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომა.

3.3. სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

3.3.1. სადაზღვევო თანხა არის თქვენსა და ჩვენ შორის შეთანხმების შედეგად სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხის ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც ჩვენ გადაგიხდით სადაზღვევო ანაზღაურებას, თითოეული სადაზღვევო დაფარვის მიხედვით;
3.3.2. ჩვენ შორის შეთანხმების საფუძველზე, პოლისში დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს ჩვენი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გადასახდელ ზღვრულ ოდენობას:
3.3.2.1. თითოეული რისკისათვის;
3.3.2.2. თითოეული/ცალკეული სადაზღვევო შემთხვევისათვის ან/და თითოეული დაზარალებულისათვის;
3.3.3. სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ, სადაზღვევო თანხა შემცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით;
3.3.4. სადაზღვევო პოლისში განისაზღვრება ფრანშიზა, რაც წარმოადგენს თანხის იმ ოდენობას, რომელიც აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას და რომელზეც ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელნი;
3.3.4.1. პირობითი ფრანშიზა – თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ჩვენ მას არ ავანაზღაურებთ. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალის მთლიან ოდენობას;
3.3.4.2 უპირობო ფრანშიზა – ის მინიმალური თანხა, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება მთლიანი ზარალის ოდენობას;
3.3.4.3 თუ პოლისში ფრანშიზის ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება უპირობო ფრანშიზა;

3.3.5. ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის ამ დოკუმენტით დადგენილი ლიმიტების შესაბამისად.

3.4. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა

3.4.1. **ქონების** დაკარგვის/განადგურების/დაღუპვის შემთხვევაში ანაზღაურების გამოთვლა ხდება დაკარგული/განადგურებული/დაღუპული ქონების აღდგენითი ღირებულების მიხედვით.
3.4.2. ქონების დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება შეკეთების/გამოსწორების/გაწმენდის ხარჯები, რომლებიც საჭიროა დაზიანებული ქონების აღსადგენად, მაგრამ არაუმეტეს დაზიანებული ქონების სადაზღვევო (საბაზრო) ღირებულებისა.
3.4.3. ანაზღაურებადი სარემონტო/აღდგენითი ხარჯები მოიცავს:
ა) დანახარჯებს რემონტის მასალაზე და სათადარიგო ნაწილებზე;
ბ) დანახარჯებს სარემონტო სამუშაოების ანაზღაურებაზე;
გ) დანახარჯებს, რომლებიც საჭიროა მასალების ადგილამდე მისატანად;
დ) სხვა დანახარჯებს, გაწეულს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად.

3.4.4. აღდგენითი დანახარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებულ ფასებზე დაყრდნობით.
3.4.5. იმ შემთხვევაში, თუ ქონების აღდგენა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის არსებული პარამეტრების შესაბამისად რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი, ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლოა აღსადგენი ობიექტის რიგი პარამეტრების შეცვლა.
3.4.6. ჩვენ ავანაზღაურებთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც შესაძლოა, საჭირო გახდეს წინასარემონტო სამუშაოების ფარგლებში, თუ ამგვარი სამუშაოები საბოლოო რემონტის ნაწილია და თუ ამით არ გაიზრდება რემონტზე გაწეული საერთო დანახარჯი.
3.4.7. აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაღებული უნდა იყოს დროულად და გონივრულ ფარგლებში.

ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ დამატებით ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება პირველადი დაზიანების დროულად აღმოუფხვრელობის შედეგად.

გადაჭარბებული დაზღვევა

იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა აღემატება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დასაზღვევად განცხადებული ქონების სადაზღვევო ღირებულებას, ჩვენ არ ვართ ვალდებული ავანაზღაუროთ ნამეტი თანხა.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ ქონება იყო დაზღვეული გაზრდილ თანხაზე უკანონო სარგებლის მიღების (უსაფუძვლო გამდიდრების) მიზნით, ჩვენ ვთავისუფლდებით ყველა ნაკისრი ვალდებულებისაგან.

ორმაგი დაზღვევა

თუ პოლისში მითითებული დაზღვეული ქონება ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა, თქვენ ვალდებული ხართ, ასეთი ინფორმაციის შეტყობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ჩვენ და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოთ სხვა მზღვეველების ვინა¬ობა და მათი პასუხისმგებლობის მოცულობა. ასეთ შემთხვევაში, მზღვე¬ველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მივიღებთ, როგორც სოლიდარული მოვალეები ჩვენი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად, მაგრამ თქვენ არა გაქვთ უფლება, მიიღოთ ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

ქონების მთლიანი ღირებულების ანაზღაურების შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ ჩვენთვის საკუთრების უფლების გადმოცემა ნარჩენებზე და შეასრულოთ ყველა ის მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ამ მიზნისათვის.

თუ გაირკვა, რომ ქონების განადგურება ან დაზიანება გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, ჩვენ უფლება გვაქვს გამოვიყენოთ რეგრესის წესი და მოვითხოვოთ გადახდილი თანხის ანაზღაურება ბრალეული მხარისაგან.

თუ თქვენი ბრალით ჩვენ მიერ რეგრესის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა, ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე ან თქვენგან მოვითხოვოთ უკვე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

ა) დაზიანებული ობიექტის გაუმჯობესებაზე ან მისი მახასიათებლების ცვლილებაზე გაწეული დამატებითი დანახარჯები;
ბ) ჩვეულებრივი ექსპლუატაციისას პროფილაქტიკურ რემონტზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები;
გ) ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისგან დამოუკიდებლად;
დ) სხვა ხარჯები, რომლებიც აღემატება საჭიროებას.

3.4.8. მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა ხდება მესამე პირის ქონებისათვის თქვენი ბრალეული ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობიდან, იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც წინამდებარე პირობებით გამოიყენება ქონებისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის გამოთვლისას.
3.4.9. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება მესამე პირისათვის მატერიალური კომპენსაციის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ ასევე ავანაზღაურებთ ჩვენი თანხმობით სასამართლოში და სასამართლოს გარეშე დაცვაზე გაწეულ ხარჯებს.
3.4.10. ჩვენთან წერილობითი შეთანხმების გარეშე თქვენ მიერ მესამე პირებისთვის ზიანის ანაზღაურების ან რაიმე სხვა (მათ შორის, სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე დაცვაზე) ხარჯების გაწევის, ანაზღაურების შესახებ ვალდებულების აღების, სარჩელის ცნობის, სასამართლოს მიერ თქვენს საწინააღმდეგოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან.

3.5. თქვენი ვალდებულებები

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თქვენ ვალდებული ხართ:

3.5.1. დაუყოვნებლივ აცნობოთ მომხდარის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს (საპატრულო პოლიციას,ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და სხვა) და აგრეთვე ჩვენ (ჩვენს 24-საათიან ქოლ ცენტრს).
3.5.2. მიიღოთ ყველა შესაძლო გონივრული ზომა ზარალის შემდგომი გავრცობის შეწყვეტისათვის, მისი ოდენობის შემცირების ან დაზიანებული ქონების გადარჩენის მიზნით. ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ ჩვენი ზეპირი ან/და წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია;
3.5.3. ჩვენი წარმომადგენლის მისვლამდე შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოთ არსებული მდგომარეობა შემთხვევის ადგილზე.
3.5.4. მიიღოთ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოთ ჩვენი რეგრესული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე.
3.5.5. ხელი შეგვიწყოთ სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის გარემოებებისა და ოდენობის მოკვლევა-მოძიებაში.
3.5.6. სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა მოგვაწოდოთ:
ა) წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
ბ) წერილობითი განცხადება დაზიანებული ქონების ჩამონათვალისა და მისი აღდგენითი/შენაცვლებითი მიახლოებითი ღირებულებების მითითებით.
გ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
დ) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული შემთხვევის გარემოებების დამადასტურებელი ცნობები: ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურიდან, ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრიდან, საპატრულო პოლიციიდან, შსს-დან, პროკურატურიდან ან სხვა სამართალდამცავი ორგანოებიდან (მათი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით);
ე) საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ნასყიდობის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება და ა.შ.);

ვ) ზარალის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ზ) თქვენი საბანკო რეკვიზიტები.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოვითხოვოთ დამატებითი დოკუმენტები, თუ ზემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია დაზღვევისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა ან/და ზიანის ოდენობის ზუსტად გაანგარიშება.

3.5.7. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაფარვის მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ასევე, აუცილებელია:

- ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე თქვენ არ აღიაროთ პასუხისმგებლობა და არ აიღოთ საკუთარ თავზე ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.
- მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, ჩვენ მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს.
- საჭიროების შემთხვევაში გადასცეთ ჩვენ მიერ დანიშნულ პირს უფლებები:
- აწარმოოს მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან, და
- წარმოგადგინოთ სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით.
- მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაფარვის მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ასევე დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის დაზიანებული ქონების ექსპერტიზის ჩატარების დრო და ზარალის განსაზღვრის მიზნით მოგვცეთ საშუალება ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

4. ზოგადი პირობები

4.1. გამონაკლისები

4.1.1. დაზღვევა არ ვრცელდება და შესაბამისად ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან შემდეგ შემთხვევებში:

ა) ზარალი გამოწვეულია თქვენი, დაზღვეულის ან მოსარგებლის მიერ ჩადენილი განზრახ ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.
ბ) ზარალი გამოწვეულია ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია ომი, თუ - არა), საზოგადოებრივი არეულობებით, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით ან სამხედრო, ან უკანონო ხელისუფლებით, ტერორიზმის ნებისმიერი აქტით, სხვა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, დაზღვეული ფორს-მაჟორული რისკების გამოკლებით.
გ) თუ ადგილი ჰქონდა იონიზირებულ რადიაციას, ბირთვულ ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებულ რადიაციას და დაბინძურებას; რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებას;
დ) ზარალი რომელიც წარმოიშვა ნებისმიერი სხვა კონტრაქტის, შეთანხმების საფუძველზე. სხვა დაზღვევის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც იგივე ინტერესი არის დაზღვეული, მოქმედებს ორმაგი დაზღვევისათვის განსაზღვრული დებულებები, ანუ თუ ამ პირობების წინამდებარე ნაწილით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა), თქვენ ვალდებული ბრძანდებით ასეთი ინფორმაციის შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ჩვენ და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოთ სხვა მზღვეველების ვინაობა და მათი პასუხისმგებლობის მოცულობა. ასეთ შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მივი¬ღებთ, როგორც სოლიდარული მოვალეები ჩვენი პასუხისმგებლობის მოცუ¬ლობის პროპორციულად, მაგრამ თქვენ არ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა;
ე) თუ ადგილი აქვს გარემოებას, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ჩვენ უფლებამოსილებას გვანიჭებს, უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე.
ვ) ზარალი პირდაპირ ან ირიბად გამოწვეულია ქონების ისეთი დეფექტით ან ნაკლით რომლის შესახებაც უნდა გცოდნოდათ დაზღვევამდე/დაზღვევის მომენტში.

4.1.2. დაზღვევა არ ვრცელდება და შესაბამისად ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან შემდეგ შემთხვევებში:

ა) ზიანი ან განადგურება, რომელიც გამოწვეულია ბგერითი ან ზებგერითი სიჩქარით მოძრავი თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ წარმოქმნილი წნევის ტალღებით.
ბ) ელექტრონული ან ელექტრო ხელსაწყოს დანაკარგი ან ზიანი, რომელიც გამოწვეულია მეხის დაცემით
გ) ცეცხლით გამოწვეული ზარალი, რომელიც არ არის გამოწვეული ხანძრით.
დ) თვით ქონების მოულოდნელი ფერმენტაციით ან გაცხელებით, ან დაზღვეული ქონების მიერ რაიმე სითბური პროცესის გავლით გამოწვეული ზიანი ან ზარალი.
ე) ზიანი, რომელიც მიადგა ღია ცის ქვეშ დატოვებულ ან ზიანის დადგომის მომენტისათვის უკვე დაზიანებულ და/ან დაშლილ შენობაში მყოფ ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს, კარებისა და ფანჯრების, ასევე, სახურავის ფანჯრების ღიად დატოვების გამო დამდგარი ზიანის ჩათვლით.
ვ) ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგა გარეთ მდებარე თქვენს საინჟინრო მოწყობილობას, გარე მოპირკეთებას.
ზ) ზიანი, რომელიც გამოწვეულია სადრენაჟო სისტემების არასწორი გამოყენებით.
თ) ზიანი, რომელიც გამოწვეულია მიწის სამუშაოების ჩატარების შედეგად გრუნტის ხელოვნური დაწევით ან მოძრაობით, მდინარის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიით;
ი) ზიანი, რომელიც გამოწვეულია რაიმე ქონების დანგრევით, სტრუქტურის ცვლილებებით ან შეკეთებით, ასევე საძირკველის სამშენებლო სამუშაოებით ან გათხრებით.
კ) დანაკარგი ან ზიანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წყლის მილების, მილსადენების, საცობების, აგრეგატებისა და ცეცხლჩამქრობი სპეციალური ან სადრენაჟე სისტემების, არხების, ავზების ან მოწყობილობების შეკეთების, გაუქმების, დაგრძელების ან გადატანის პროცესში.
ლ) ვანდალიზმის შედეგად დამდგარი ზარალი, თუ დაზღვეულ ბინაში/სახლში 1 თვეზე მეტი დროის განმავლობაში არავინ იმყოფებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პოლისში მითითებულია, რომ დაზღვევა ვრცელდება წელიწადში 1 თვეზე მეტ ხანს დაუსახლებელ ბინებზე/სახლებზე.
მ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვეული ქონება ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობათა რიცხვს მიეკუთვნა.
ნ) თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვევის ტერიტორია აღიარებული იქნა შესაძლო სტიქიური უბედურების ზონად.
ო) რომელიც გამოწვეულია ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ბრძანებით, განკარგულებით, ქმედებით, კონფისკაციით, რეკვიზიციით, ექსპროპრიაციით ან ამგვართა მცდელობით.
პ) რომელიც გამოწვეულია მშენებლობის საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით, არასწორი პროექტირებით, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შედეგად ან უხარისხო მასალების გამოყენებით.
ჟ) რომელიც გამოწვეულია შენობა/ნაგებობების კაპიტალური რემონტის ჩატარებით, გარდა მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობისა.
რ) ზიანი რომელიც გამოწვეულია რადიაციით ან დაბინძურებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისა;
ს) წინამდებარე პირობებში მითითებული რისკების გარდა სხვა ნებისმიერი რისკით გამოწვეული ზიანი.

4.1.3. ჩვენ თავისუფალი ვართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ თქვენ:

ა) არ გადმოგვეცით რეგრესის უფლება/არ მოგვაწოდეთ ის დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად.
ბ) თუ თქვენ/თქვენმა ოჯახის წევრმა განზრახ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან.
გ) თქვენ ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;

4.1.4. ჩვენ შეგვიძლია უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებს:

ა) თქვენ არ შეასრულეთ თქვენზე ამ სადაზღვევო პირობებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) არ მოგვაწოდეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია (შეტყობინება) იმ ვადებში, რომლებიც შეთანხმებულია წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა ჩვენი ინტერესები;

გ) თქვენ მიერ დაზღვევის განხორციელების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია / დოკუმენტები არის წინას¬წა¬რი შეცნობით არაზუსტი ან ყალბი;
დ) ადგილი აქვს გარემოებებს, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია თქვენთვის, დაზღვეულისთვის, მოსარგებლისთვის ამის შესახებ დაუყოვნებლივ არ გვაცნობეთ წერილობითი ფორმით ან მოგვაწოდეთ ყალბი ან არასრული ინფორმაცია / დოკუმენტები აღნიშნულის შესახებ;
ე) თქვენ / მოსარგებლემ უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;
ვ) თქვენ არ წარმოგვიდგინეთ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;
ზ) თქვენ უხეშად დაარღვიეთ სადაზღვევო შემთხვევის/რისკის ზრდის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადა.
თ) გადააცილეთ პრემიის გადაუხდელობის მიზეზით ჩვენ მიერ დადგენილ ორკვირიან ვადას;
ი) ჩვენ მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ თქვენ ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ ჩვენთვის ინფორმაცია არ მოგიწოდებიათ წერილობითი ფორმით.
კ) თქვენ ვერ შეასრულეთ თქვენზე წინამდებარე პირობებით დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
ლ) თქვენ არ მიიღეთ რისკის/ ზარალის შესამცირებლად თქვენთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომები, რაც გახდა სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის ან მისი ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი

სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი წარგედგინებათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის გაცხადების დასაბუთებული მიზეზები.

თუ ადგილი აქვს შემთხვევებს, რომლებიც წარმოადგენს გამონაკლისს, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი გაწევთ თქვენ.

4.2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

თქვენ ვალდებული ხართ:

4.2.1. უზრუნველყოთ სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდა დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
4.2.2. უზრუნველყოთ ჩვენთვის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის წარდგენა.
4.2.3. გააცნოთ დაზღვეულს/ მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობები და ის ვალდებულებები, რომელიც აკისრიათ მათ წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე;
4.2.4. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოთ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.
4.2.5. სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, უნდა წარმოგვიდგინოთ წერილობითი განცხადება, რომლის საფუძველზეც და თქვენ მიერ შესაბამისი თანხის გადახდის სანაცვლოდ, ჩვენ გავცემთ პოლისის დუბლიკატს (სათანადო გრიფით, რაც ადასტურებს, რომ პოლისი დუბლირებულია). პოლისის დუბლიკატის საიდენტიფიკაციო მონაცემები უცვლელი დარჩება, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

თქვენ უფლებამოსილი ხართ

4.2.7. მოგვთხოვოთ ჩვენ დაზღვევის განხორციელება წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;
4.2.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოთ ჩვენგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
4.2.9. მოითხოვოთ ჩვენგან ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
4.2.10. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროთ ჩვენი გადაწყვეტილება, რომელიც მიაჩნიათ არასამართლიანად;
4.2.11. შეწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება მხოლოდ ამავე ხელშეკრულების მოთხოვნათა სრული დაცვით.

ჩვენ უფლებამოსილი ვართ:

4.2.12. მოვითხოვოთ თქვენგან/ მოსარგებლისაგნ დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და განუხრელი შესრულება;
4.2.13. მოვითხოვოთ თქვენგან გადაიხადოთ სადაზღვევო შესატანი (პრემია) დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
4.2.14. მოვითხოვოთ თქვენგან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა;
4.2.15. არ ავანაზღაუროთ ის შემთხვევები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
4.2.16. უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თქვენ/მოსარგებლის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში

ჩვენ ვალდებული ვართ:

4.2.17. განვახორციელოთ დაზღვევა წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
4.2.18. განხორციელებული დაზღვევის დასტურად გადმოგცეთ სადაზღვევო პოლისი;
4.2.19. დროულად და სრულად გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სადაზღვევო აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ;

4.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა
3.4.1. ჩვენ გადავიხდით სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, შეღწევით ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, როდესაც სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2 (ორი) თვის შემდეგ,
3.4.2. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით თქვენი (მოსარგებლის) ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
3.4.3. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა ზიანის და პასუხიმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში რეგულირდება კონკრეტული დაფარვის მიხედვით, დაზიანებული/განადგურებული ქონების დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე.
3.4.4. სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა ლიმიტირებულია სადაზღვევო თანხით, მიუხედავად სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის სიდიდისა.
3.4.5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას სადაზღვევო ანაზღაურებას გამოაკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზა (ასეთის არსებობის შემთვვევაში).
3.4.6. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, დავალიანების არსებობისას, სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება გადაუხდელი პრემიის ოდენობით.
3.4.7. თუ ზარალის ანაზღაურება თქვენთვის / მოსარგებლისთვის/ განხორციელდა მესამე პირის/ების მიერ, ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ სხვაობას დაზღვევის ხელშეკრულებით ჩვენ მიერ ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ ანაზღაურებულ თანხას შორის. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოთ აღნიშნული თანხის მიღების შესახებ.
3.4.8. მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტი წარმოადგენს ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს. თქვენ / მოსარგებლის/ მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერამდე ჩვენ არ ვართ ვალდებული, გასცეთ სადაზღვევო ანაზღაურება.
3.4.9. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ შევთანხმდით ზარალის საბოლოო ოდენობაზე ან შემთხვევის გამომწვევ მიზეზებზე, შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება ჩვენი სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს ჩვენ ვფარავთ;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება თქვენი სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს თქვენ ფარავთ;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მხარეთა ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება ჩვენს შორის.

4.4. სადაზღვევო პოლისი/დაზღვევის მოქმედების ვადა

4.4.1. სადაზღვევო პოლისის გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას. მხოლოდ პოლისის არსებობის შემთხვევაში ვართ ჩვენ ვალდებულნი სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადავიხადოთ სადაზღვევო ანაზღაურება.

4.4.2. სადაზღვევო პერიოდში სადაზღვევო დაფარვის პირობებში რაიმე ცვლილების შეტანის შემთხვევაში ამგვარი ცვლილებები უნდა აისახოს პოლისში ან მის დანართში, ხოლო პოლისსა და სადაზღვევო პირობებში შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა პოლისს მიენიჭება.

4.4.3.თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პოლისი გაიცემა ერთი წლის ვადით;

4.4.4. დაზღვევა შედის ძალაში, სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღის პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე, ხოლო ჩვენ თავისუფალი ვართ ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან სადაზღვევო პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანის გადახდამდე.

4.5. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის პირობები

4.5.1. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს დაზღვევის საფასურს, რომელიც თქვენ უნდა გადაგვიხადოთ წინამდებარე პირობების თანახმად და სადაზღვევო პოლისით დაწესებული და გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

4.5.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად ან განსაზღვრული პერიოდულობით, სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა, ვადები და სხვა არსებითი პირობები განისაზღვრება პოლისით;

4.5.3. პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩვენ განგისაზღვრავთ გადახდის ორკვირიან დამატებით ვადას. თუ ამ ორკვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, ჩვენ ვთავისუფლდებით ანაზღაურების მოვალეობისაგან.

4.5.4. პრემიის დროულად გადაუხდელობა უფლებას გვაძლევს ერთი თვით ადრე გაგაფრთხილოთ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება.

4.5.5. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის თქვენ სრულად არ გაქვთ გადახდილი სადაზღვევო პრემია (მიუხედავად სადაზღვევო პრემიის გადახდის პოლისთ შეთანხმებული ვადებისა), ჩვენ უფლებამოსილი ვართ, ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოთ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი თანხა.

4.6. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება

4.6.1. თქვენ ვალდებული ხართ, დაზღვევის გაფორმებისას შეგვატყობინოთ თქვენთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკის შეფასებაზე.

4.6.2. ჩვენ გვაქვს უფლება, სადაზღვევო პოლისის გაცემამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პოლისის გაცემის შემდეგაც, მოგთხოვოთ ნებისმიერი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევის ალბათობა;

4.6.3. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ჩვენთვის დროულად შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე.

4.6.4. დაზღვეული ქონების/ავტოტრანსპორტის გასხვისებისას, აუცილებელია დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ახალი მფლობელის ვინაობა და საკონტაქტო დეტალები.

4.6.5. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით შეგვატყობინოთ ჩვენთვის შეტყობინებულ გარემოებებში რაიმე ცვლილებები შესახებ ან თუ გამოვლინდა მანამდე არსებული თქვენთვის უცნობი ან ახალი გარემოებები, თუ ისინი ზრდიან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკს.

4.6.6. ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდების ვალდებულება მოქმედებს მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და არ შემოიფარგლება მხოლოდ რისკის ხარისხის შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, არამედ მოიცავს ანაზღაურების ოდენობის ან/და ჩვენი ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც.

4.7. დაზღვევის პირობების შეცვლა

4.7.1. სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის ზრდის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ დაზღვევის პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა. ჩვენ მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება თქვენთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს.

4.7.2. თქვენ მიერ გაცხადებული უარი დაზღვევის პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე გვაძლევს უფლებას, გავაუქმოთ სადაზღვევო პოლისი აღნიშნული ცვლილებების დადგომის მომენტიდან და შევწყვიტოთ დაზღვევის მოქმედება წინასწარი ერთთვიანი ვადის დაცვით. ვადის დაცვა არ არის საჭირო, თუ სადაზღვევო რისკის ზრდა თქვენ მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული.

4.7.3. იმ გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენს დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის, რისკის ხარისხის ცვლილების, დაზღვევის მოცულობის, პოლისის მოქმედების ვადის ან სადაზღვევო პრემიის ოდენობის ჩათვლით, თქვენ გადმოგეცემათ ჩვენ მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული პოლისის დანართი.

4.8. დაზღვევა მესამე პირთა სასარგებლოდ

4.8.1. თქვენ შეგიძლიათ დადოთ დაზღვევის ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, ანუ დანიშნოთ მოსარგებლე.

4.8.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ხელშეკრულებაში მითითებული მოსარგებლე სხვა პირით, რის შესახებაც წერილობით უნდა გვაცნობოთ. მოსარგებლის შეცვლა უნდა გაფორმდეს წერილობითი შეთანხმებით.

4.8.3. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება მოსარგებლის სახელზე არ გათავისუფლებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.8.4. ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ მოსარგებლისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

4.8.5. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვართ ვალდებული, ავანაზღაუროთ მოსარგებლის სასარგებლოდ, თუ მოსარგებლე ეთანხმება დაზღვევის ხელშეკრულებას.

4.9. რეგრესის წესი

4.9.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების სრული ოდენობის ფარგლებში. თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ თქვენ ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

4.9.2. თქვენ მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა ჩვენთვის, გადმოგვცეთ ამ რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ჩვენ გვათავისუფლებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, გვანიჭებს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების უკან მოთხოვნის უფლებას.

4.10. ფორს-მაჟორი

4.10.1. მხარეები დროებით ვთავისუფლდებით წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

4.10.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში ჩვენი ვალდებულებები წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

4.10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

4.11. პოლისის მოქმედების შეწყვეტა

4.11.1.დამატებითი ვადის განსაზღვრისა და გაფრთხილების გარეშე პოლისის მოქმედება ვადაზე ადრე წყდება წერილობითი შეტყობინების გარეშე, შემდეგ გარემოებებში:

4.11.2. პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ამოწურვისას/ვადის გასვლისას;

4.11.3. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და შეწყდება სადაზღვევო რისკის არსებობა ნებისმიერი გარემოებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევისა;

4.11.4. თუ სადაზღვევო რისკის ზრდა ან ქმედება, რომლის შედეგად დაგიდგათ ზიანი, თქვენ მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული.

4.11.5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4.11.6. პოლისის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს ერთთვიანი ვადის დაცვით წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ გარემოებებში:

ა) პოლისით გათვალისწინებულ ვადებში სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობისას,

ბ) სადაზღვევო რისკის გაზრდის შემთხვევაში თქვენ მიერ დამატებითი პრემიის გადახდაზე/დაზღვევის პირობების შეცვლაზე უარის განცხადებისას.

გ) დაზღვეული ქონების/ავტოტრანსპორტის გასხვისებისას.

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4.11.7. თქვენ ვალდებული ხართ ნებისმიერ შემთხვევაში დაფაროთ გამომუშავებული სადაზღვევო პრემია ამასთან, ჩვენ მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ დაექვემდებარება, ხოლო განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას, გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია დაექვემდებარება სრულად დაფარვას.

4.11.8. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, მოქმედებს შემდეგი პირობა: თქვენ მიერ გადახდილი გამომუშავებული სადაზღვევო პრემია არ ექვემდებარება ჩვენ მიერ უკან დაბრუნებას.

4.12. დავების განხილვა

4.12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთ¬შეთან¬ხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.12.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. მედიაციის მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 4.12.1. პუნქტის შესაბამისად.

4.12.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.13. ინფორმაციის მიწოდება

დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გაეგზავნება ფაქსით ან ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის/რეკვიზიტების მიხედვით. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია დამზღვევს შეტყობინება გაეგზავნოს მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების სახითაც. დამზღვევის შემთხვევაში მისი რეკვიზიტების მითითება ხდება დაზღვევის პოლისში. მისამართის/ადგილსამყოფელისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

4.14. კონფიდენციალურობა

თქვენ და ჩვენ მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით თქვენგან გვენიჭება უპირობო უფლება, თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს თქვენს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.